



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



## გეოგაპის სტანდარტის აუდიტის ოქმი

აუდიტორის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

მასერტიფიცირებელი კომპანია: \_\_\_\_\_

შესამოწმებელი ობიექტი (კომპანიის ან მფლობელის სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი):

პასუხისმგებელი პირი: \_\_\_\_\_ (დატოვებთ ცარიელი, თუ იგივეა, ვინც მფლობელი)

ფერმერული მეურნეობის ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_

ფერმერული მეურნეობის ფართობი და გამოყენების სფერო (კულტურები): \_\_\_\_\_

აუდიტის ჩატარების თარიღი: \_\_\_\_\_

აუდიტის დაწყებისა და დასრულების დროები: \_\_\_\_\_

აუდიტის ხანგრძლივობა: \_\_\_\_\_

ფერმაში არის პარალელური წარმოება კდ არა (მიუთითეთ პროდუქტები) ფერმაში არის პარალელური მფლობელობა კდ არა

აუდიტის დროს განხორციელდა, თუ არა დაკვირვება მოსავლის აღების პროცესზე? კი არა (თუ კი, მიუთითეთ პროდუქტები)

გეოგაპის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობა ფერმერულ მეურნეობაში არსებულ მდგომარეობასთან:

სავალდებულო შესრულდა \_\_\_\_\_ მოთხოვნა, რაც არის \_\_\_\_\_ %

სასურველი შესრულდა \_\_\_\_\_ მოთხოვნა, რაც არის \_\_\_\_\_ %

რეკომენდაცია შესრულდა \_\_\_\_\_ მოთხოვნა, რაც არის \_\_\_\_\_ %

აუდიტორის დასკვნა:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_



## გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ USAID-ის მხარდაჭერით პროექტ "ზრდა"-ს ფარგლებში შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტი - გეოგაპი. გეოგაპის მიზანი ერთი მხრივ საქართველოში მიკვლევადი და უვნებელი ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და გაყიდვების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ ფერმერების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაა. მზარდი მოლოდინები მომხმარებლების, საცალო მოვაჭრეებისა და კანონმდებლობის მხრიდან, ასევე მდგრადი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სისტემების პრინციპები სულ უფრო და უფრო მეტად მოითხოვენ ისეთი პრაქტიკების დანერგვას, რომლებიც ამცირებს გამოყენებული ქიმიკატების რაოდენობას და მათ ზემოქმედებას გარემოზე, ამავდროულად ზრდის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემის სერვისების ეფექტურობას იმის გათვალისწინებით, რომ ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემო შეექმნათ დაქირავებულებს.

სერტიფიცირების პროცესში მწარმოებლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ხელმძღვანელობენ მოცემული სტანდარტის მოთხოვნებით. წარმატებული ფერმერული მეურნეობები / მწარმოებლები მასერტიფიცირებლებთან გარე აუდიტის გავლის შემდეგ ერთი წლით მიიღვენ გეოგაპის სერტიფიკატს, რომელიც ყოველწლიურად უნდა განახლდეს.

სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია მოთხოვნების სიიდან ფერმერებმა სტატუსის მიხედვით შეასრულონ შემდეგი რაოდენობები:

**სავალდებულო (66)** - აუცილებლად შესასრულებელი 100%

**სასურველი (13)** - უნდა შესრულდეს ამ ჯგუფის მოთხოვნების 90% მაინც (შესაძლოა არ შესრულდეს მხოლოდ ერთი)

**რეკომენდაცია (5)** - უნდა შესრულდეს ამ ჯგუფის მოთხოვნების 10% (ერთი მოთხოვნა მაინც)

გარდა მოთხოვნების ამ სიისა, გეოგაპი ეფუძნება მასერტიფიცირებლების, ფერმერებისა და გადაამყიდველების კეთილსინდისიერებას და პროფესიონალიზმს. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია თავის წევრებს დაეხმარება, დანერგონ კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები და შეასრულონ გეოგაპის მოთხოვნები.

გეოგაპის სტანდარტი და შესაბამისი დოკუმენტაცია ეკუთვნის ააიპ "საქართველოს ფერმერთა ასოციაციას" და წერილობითი თანხმობის გარაშე დაუშვებელია თავად დოკუმენტების, ან მისი ნაწილის გამოყენება, გამრავლება, გაყიდვა და ა.შ. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ასოციაციას <http://gfa.org.ge/>.



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



ფერმერული მეურნეობა							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
A1	უნდა არსებობდეს ფერმერული მეურნეობის რუკა, რომელიც მოიცავს ყველა ნაკვეთს, საწყობს, დანომრილ კვალს / რიგს / სექციას / ა.შ.	ფერმის შიდა მიკვლევადობისათვის ყველა ნაკვეთზე / რიგში უნდა იყოს ფიზიკური ნიშანი / მონიშვნა, რომელიც აღნიშნული იქნება რუკაზე და შესაბამის ფორმებში (ა3; ა4).	რუკა უნდა მოიცავდეს სათბურებს, გზებს, შესასვლელებს / გასასვლელებს, ტბებს, არხებს, ა.შ.	სავალდებულო			
A2	ფერმა უნდა იყოს მიკვლევადი. ფერმაში განთავსებული უნდა იყოს ნიშანი ინფორმაციითა და მისამართით.	ნაკვეთი უნდა იყოს რეგისტრირებული და ქონდეს მისამართი, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით გამოვლენილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი (ა2; ა3; ა4).	შესაძლოა, მითითებული იყოს ჯიპიეს (GPS) კოორდინატებიც.	სავალდებულო			
A3	რეკომენდირებულია, არსებობდეს მიწისა და ნიადაგის მდგრადი მართვისა და კონსერვაციის გეგმა (ე1; ე2)	სასურველია, გადაიდგას ნაბიჯები ნიადაგის სტრუქტურის შესანარჩუნებლად, დატკეპნისგან დასაცავად, ეროზიის შესამცირებლად, ა.შ.	ნიადაგის კონსერვაციისათვის ნაბიჯები უნდა გადაიდგას ანალიზებისა და რისკების შეფასების გათვალისწინებით.	რეკომენდაცია			
A4	ფერმაში წყალი უნდა გამოიყენებოდეს წყლის მართვის გეგმის (ე3) მიხედვით, მაქსიმალური ეფექტურობითა და გარემოზე ზეგავლენის გათვალისწინებით (ე1)	ფერმაში არ უნდა იყოს გაფუჭებული/მწვეთავი ონკანი/მილი, წყლის სისტემა უნდა იყოს გამართული და მოწესრიგებული. უნდა აღირიცხებოდეს გამოყენებული წყლის რაოდენობა (გ11)	წყლის გამოყენებისას უნდა შეფასდეს რისკები გარემოს მიმართ (დ9; დ10)	სასურველი			
A5	სასურველია, ფერმაში არსებობდეს ენერგოეფექტურობის გეგმა (ე4) და შემცირდეს არაგანახლებადი წყაროების გამოყენება	სასურველია, ხორციელდებოდეს გამოყენებული ენერჯის მონიტორინგი (ინახებოდეს შესყიდული ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, ა.შ. ქვითრები)	სასურველია, ქვითრები ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	რეკომენდაცია			
A6	ფერმა არ უნდა იყოს დაბინძურებული და უნდა გააჩნდეს ნარჩენებისა და	ფერმაში უნდა იდგეს ნაგვის ურნა, დაბინძურებისგან დაცული უნდა იყოს წყალი და ნიადაგი; უნდა იმართებოდეს ორგანული და არაორგანული ნარჩენები,	უნდა არსებობდეს ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი (ა7)	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



	დამაბინძურებლების მართვის გეგმა (ე5; ე6)	ყველა სახის დამაბინძურებელი (ქიმიკატები, სითხეები, ა.შ.).				
A7	სერტიფიცირებულ პროდუქციასთან ახლოს არ უნდა იყოს არანაირი ნარჩენი/ნაგავი (გ16; გ17)	ნაგვის ურნები უნდა იხურებოდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული ნარჩენების ცხოველების ან ქარის მიერ მიმოფანტვა (ე5)	სასურველია, სხვადასხვა სახის ნარჩენი ინახებოდეს ცალ-ცალკე, ხდებოდეს მათი სეპარირება	სავალდებულო		
A8	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შეფასების ფარგლებში ფერმაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს საშიში და სახიფათო ადგილები, განთავსებული უნდა იყოს პირველადი დახმარების კომპლექტი (ე7; დ2; დ3)	ფერმაში უნდა არსებობდეს სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები სახიფათო/საშიშ ადგილებზე (საქვაზე ღუმელი, ელექტრო კარადა, ქიმიკატების სათავსო, ა.შ.). პირველადი დახმარების კომპლექტი უნდა იყოს ადვილად შესამჩნევ ადგილას შესაბამისი ნიშნით	დაქირავებულებს უნდა გაეცნოთ უბედური შემთხვევების დროს მოქმედების ინსტრუქცია	სავალდებულო		
A9	დაქირავებულებისთვის შექმნილი უნდა იყოს ღირსეული სამუშაო პირობები და დაქირავებულებთან კომუნიკაციისთვის გამოვლენილი უნდა იყოს საკონტაქტო პირი (ა7)	ფერმაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი ხელსაბანი, სასმელი წყალი და საჭირო ოთახი, სუფთა ადგილი ტანსაცმლის გამოსაცვლელად, საჭმლის შესანახად და საჭმელად	საჭირო ოთახი განთავსებული უნდა იყოს ნაკვეთიდან მაქსიმუმ 500 მეტრში ან 10 წუთის სავალ გზაზე	სავალდებულო		
A10	ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს სუფთა და გამართული (ე6; გ16)	სურსათის ტრანსპორტირებამდე ტექნიკა უნდა გაირეცხოს/გაიწმინდოს რათა არ მოხდეს პროდუქტის დაბინძურება (დ5; დ6)	მუშების გადასაყვანად გამოყენებული მანქანები უნდა იყოს უსაფრთხო	სავალდებულო		
A11	სასურველია, ხორციელდებოდეს ჩანაწერების წარმოება ადგილზე დამზადებული ნივთიერების (მაგ. კომპოსტის) შესახებ	ჩანაწერები ადგილზე დამზადებული მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების, ა.შ. შესაძლოა გაკეთდეს შესაბამის ფორმაში (გ6)	თუ ეს ხორციელდება, უნდა არსებობდეს ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირი (ა7)	რეკომენდაცია		

მემცენარეობა							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
B1	სათესი და სარგავი მასალები (თესლი, ჩითილები, ნერგები, ა.შ), რომლებიც გამოიყენება გეოგაპის პროდუქციის საწარმოებლად, სერტიფიცირებული უნდა იყოს კანონის* შესაბამისად	გამოყენებული თესლის/სარგავი მასალის შესახებ ინფორმაცია უნდა ინახებოდეს 24 თვე მაინც (გ9)	*სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის	სასურველი			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



			დამტკიცების შესახებ				
<b>B2</b>	მინერალური და ორგანული სასუქები და/ან მცენარეთა სტიმულატორები უნდა გამოიყენებოდეს წყლისა და ნიადაგის ანალიზებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შესაბამისად (ე2; ე3)	რეკომენდაციები შემუშავებული უნდა იყოს კომპეტენტური და კვალიფიციური ადამიანის მიერ წყლისა და ნიადაგის ანალიზებზე დაყრდნობით, მათ შორის ორგანული სასუქების გამოყენებისთვისაც	ნიადაგისა და წყლის ანალიზებისთვის ნიმუშების აღება უნდა განხორციელდეს წარმოების აქტიური სეზონის პერიოდში	სავალდებულო			
<b>B3</b>	სასურველია, ფერმაში სარწყავი წყალი იმართებოდეს შესაბამისი გეგმის მიხედვით (ე3; გ11)	მორწყვის ინტენსივობა უნდა ეფუძნებოდეს ნიადაგისა და მცენარეთა საჭიროებებს	წყლისა და სასუქის შესარევი ავზი უნდა იყოს სუფთა და გამართული (ბ2; ე7)	სასურველი			
<b>B4</b>	ფერმაში უნდა ხორციელდებოდეს მავნებლების ინტეგრირებული მართვა (მიმ), პრევენცია, დაკვირვება მონიტორინგი და ინტერვენცია (ე8)	ფერმაში უნდა იყოს ერთი ადამიანი მაინც (რომელიც მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღებაში), რომელიც დატრენინგებული იქნება მიმ-ში (ა7)	ფერმერმა უნდა წარმოადგინოს მიმ-ის განხორციელების მტკიცებულება (მაგ. ჩანაწერები) (გ4)	სავალდებულო			
<b>B5</b>	გეოგაპის პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული მცენარეთა დაცვის საშუალებები (მდს) (ბ2; ბ3)	რეგისტრირებული სასუქებისა და პესტიციდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოიყენებოდეს მდს-ს კატალოგები (სურსათის ეროვნული სააგენტო)	კატალოგები ხელმისაწვდომია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე	სავალდებულო			
<b>B6</b>	ნიადაგის ფუმიგატების გამოყენებისათვის უნდა არსებობდეს წერილობითი დასაბუთება (გ2)	აკრძალულია მეთილ ბრომიდის (Bromomethane / Methyl Bromid) გამოყენება	უნდა არსებობდეს წერილობითი დასაბუთება ნიადაგის დეზინფექციისათვისაც	სავალდებულო			

ხილი და ბოსტნეული							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>C1</b>	საწყობი, მაცივარი და შესაფუთი ოთახები უნდა იყოს მოწესრიგებული (ე6)	სასურველია, ტენიანობა და ტემპერატურა აღირიცხებოდეს და აღიწერებოდეს ყოველკვირეულად	უნდა არსებობდეს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი (ა7)	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



C2	უნდა არსებობდეს მოსავლის აღებისშემდგომი სამოქმედო გეგმა (ე9)	იდენტიფიცირებული უნდა იყოს პასუხისმგებელი ადამიანი, რომელიც იზრუნებს აღებულ მოსავალზე (ა7)	აღებული მოსავალი ღამე არ უნდა დარჩეს ღია ცის ქვეშ გადაუფარებლად ან შეუფუთავად (დ5; დ6)	სავალდებულო			
C3	პროდუქციის გასარეცხად და/ან გასასუფთავებლად გამოყენებულ წყალს უნდა ქონდეს საშემო წყლის ხარისხი (დ9; დ10), ხოლო გამოყენებული ქიმიური საშუალებები დაშვებული უნდა იყოს სურსათისათვის გამოსაყენებლად	მოსავლის აღებისშემდგომი დამუშავება უნდა განხორციელდეს ხსნარების/ნივთიერებების ეტიკეტზე დატანილი ინსტრუქციისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.	უნდა ინახებოდეს ინფორმაცია გამოყენებული ქიმიკატების შესახებ (გ1)	სავალდებულო			
C4	მოსავლის აღებისათვის გამოყენებული ხელსაწყოები (დანები, მკრატლები, ა.შ.) უნდა ინახებოდეს უსაფრთხოდ, იყოს სუფთა და ჰიგიენის ნორმები უნდა იყოს დაცული (ბ5)	ხელსაწყოები დაბინძურებისგან დაუჩანგვისაგან დასაცავად უნდა იყოს შენახული სუფთად	სასხლავი ხელსაწყოები უნდა იყოს მოწესრიგებული და გამართული	სავალდებულო			

პროდუქციის საწყობი და შესაფუთი ოთახები							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
D1	გეოგაპის პროდუქციის საწყობი და შესაფუთი ოთახები უნდა იყოს მუდმივად სუფთა მდგომარეობაში (ე5; ენ; გ16; გ17)	იატაკი, კედლები, ჭერი, კარები და ფანჯრები უნდა იყოს სუფთა, არ უნდა იყოს ჩატეხილი ფანჯარა ან შუშა (ბ5). ცხოველებსა და ფრინველებს (კატებს, ძაღლებს, ვირთაგვეებს, ჩიტებს, ა.შ.) არ უნდა ჰქონდეთ შესვლის საშუალება. (დ5; დ6)	სურსათის სიახლოვეს მოწვევა და ჭამა-სმა აკრძალულია (დაიშვება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადილებში).	სავალდებულო			
D2	შესაფუთი მასალები უნდა ინახებოდეს სუფთა და ჰიგიენურ პირობებში (დ6)	ფერმაში მიწაზე არ უნდა ეყაროს შესაფუთი მასალები/მათი ნაწილები, ნაკვეთში შეფუთული პროდუქცია უნდა იყოს დაცული და გარეთ, ღია ცის ქვეშ არ უნდა იქნეს დატოვებული.	შესაფუთი მასალები უნდა მოწმდებოდეს ჰიგიენის ნორმებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროდუქციის დაბინძურება (ენ; ენ)	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>D3</b>	უნდა არსებობდეს შუშასა და მყარ პლასმასთან მოპყრობის პროცედურები (ბ5)	საწყობსა და შესაფუთ ოთახებში უნდა გამოიყენებოდეს არამსხვრევადი ნათურები ან დამცავი ფარები, რათა თავიდან ავიცილოთ სურსათის ფიზიკური დაბინძურება.	საწყობში, ასაწონი და შესანახი სივრცეების თავზე უნდა გამოიყენებოდეს არამსხვრევადი ნათურები დამცავი ფარით / ცხაურით	სავალდებულო			
<b>D4</b>	შესაფუთ და სასაწყობე ოთახებში ჰიგიენის ინსტრუქციები გაკრული უნდა იყოს ადვილად შესამჩნევ ადგილას	ინსტრუქციები უნდა იყოს მუშების / თანამშრომლების მშობლიურ / გასაგებ ენაზეც მაგ. „დაიბანეთ ხელები პროდუქტთან შეხებამდე“ და ა.შ.	დაქირავებულებს ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი ჰიგიენის საკითხებში (გ18)	სავალდებულო			
<b>D5</b>	მაგნებლებისა და მღრნელების პოპულაციების მონიტორინგისა და მართვისთვის სასწყობე და შესაფუთ ოთახებში უნდა არსებობდეს შესაბამისი პროცედურები (ბ1)	მღრნელებისა და ფრინველების კონტროლი: შენობებში, მანქანებსა და ხელსაწყობებში ყველა შესასვლელი წერტილი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს მღრნელებისა და ფრინველების მიერ, უნდა იყოს დაცული და დახურული.	უნდა არსებობდეს ტერიტორიის გეგმა მონიშნული ხაფანგებითა და მახეებით (მათი არსებობის შემთხვევაში)	სავალდებულო			

ქიმიკატების სათავსო და ხელსაწყობები							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>E1</b>	ქიმიკატების (სასუქებისა და პესტიციდების) სათავსო უნდა იკეტებოდეს და იყოს იზოლირებული სხვა მასალებისგან (გ12; გ13)	მცენარეთა დაცვის საშუალებების შესანახ სათავსოზე უნდა იყოს სპეციალური ნიშანი (ბ2)	სათავსოსთან წვდომა უნდა ქონდეთ მხოლოდ ავტორიზებულ და კვალიფიციურ პერსონალს	სავალდებულო			
<b>E2</b>	საწყობი უნდა იყოს მშრალი და სუფთა, მასში არ უნდა ინახებოდეს სურსათი	საწყობი უნდა იყოს მყარი და გამძლე კონსტრუქციის	დამზადებული უნდა იყოს ცეცხლგამძლე მასალებისგან	სავალდებულო			
<b>E3</b>	საწყობი უნდა ნიავედებოდეს და უნდა იყოს კარგად განათებული	თაროები უნდა იყოს არააბსორბანტი მასალებისგან მაგ. პლასტიკატი / რკინა / ა.შ. თხევადი ქიმიკატების ქვემოთ შეიძლება იდგეს პლასტმასის კონტეინერი დაღვრილი სითხეების შესაკრებად.	სასურველია, საწყობთან იყოს აბსორბანტი მასალა (მაგ. ქვიშა)	სასურველი			
<b>E4</b>	თაროებზე სითხეები განლაგებული უნდა იყოს ფხვნილების/გრანულების ქვეშ და	მცენარეთა დაცვის ყველა საშუალება, რომელიც არის თხევად ფორმაში და დაწყობილია თაროებზე, არ უნდა იყოს	ქიმიკატები არ უნდა ეწყოს პირდაპირ იატაკზე / მიწაზე / ნიადაგზე	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



	არა ზემოთ	ფხვნილების ან გრანულირებული ნივთიერებების ზემოთ				
E5	ქიმიკატებთან მუშაობისას უნდა გამოიყენებოდეს დამცავი ეკიპირება და ტანსაცმელი (ბ2; დ2; დ3)	სუფთა და მოწესრიგებული ტანსაცმელი და ეკიპირება მათ შორის ხელთათმანები, სათვალეები, ნიღაბი/პირბადე, დამცავი ტანსაცმელი, რეზინის ჩექმები, ა.შ.	ეკიპირება უნდა ინახებოდეს სუფთა მდგომარეობაში და იყოს მოწესრიგებული	სავალდებულო		
E6	ქიმიკატებისა და წყლის შესარევი ავზი და მიმდებარე ტერიტორია უნდა იყოს მოწესრიგებული (ბ2; ე7)	ავზი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამ მიზნებისთვის	ავზი არ უნდა იყოს დაზიანებული და არ აბინძურებდეს გარემოს	სავალდებულო		
E7	ქიმიკატების ცარიელი კონტეინერები/ბოთლები უნდა იმართებოდეს შესაბამისად და მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის უნდა იყოს ალკვეთილი (ე5; გ17)	კონტეინერები/ბოთლები კარგად უნდა გამოირეცხოს და დაიხვრიტოს გადაყრამდე, რათა გამოირიცხოს მათი ხელმეორედ გამოყენება. გადაყრამდე უნდა იყოს სოწრად შენახული და დაცული.	ნარჩენები უნდა იმართებოდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით: ნარჩენების მართვის კოდექსი	სავალდებულო		
E8	ხელსაწყოები და ინსტრუმენტები უნდა იყოს გამართული (ბ4)	შესაწამლი ხელსაწყოები უნდა იყოს გამარ მდგომარეობაში	გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და შეინახოს სწორად	სავალდებულო		
E9	ქიმიკატების ასაწონად/ასარწყავად უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი ხელსაწყოები (ბ2; ბ4)	ასარწყავი ჭიქა (სითხეებისთვის) და სასწორი (ფხვნილებისა და გრანულებისთვის) უნდა იყოს ქიმიკატების სათავსოში	გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები მაშინვე უნდა გაიწმინდოს და შეინახოს	სავალდებულო		
E10	ბოთლი სუფთა წყლით ან მუშა ონკანი სუფთა წყლით უნდა იყოს შესარევი ავზთან/ქიმიკატების სათავსოსთან 10 მეტრის სიახლოვეს (საჭიროების შემთხვევაში თვალების გამოსარეცხად)	საწყობთან უნდა იყოს პირველადი დახმარების ინსტრუქციები / უბედური შემთხვევების პროცედურები (ბ2; დ2)	თუ ტერიტორიაზე მობილურების ტარება დაშვებული არ არის, მაშინ 10 მეტრის სიახლოვეს უნდა იყოს ტელეფონი	სავალდებულო		
E11	აგროქიმიკატები, რომლებიც არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, არ უნდა ინახებოდეს საწყობში (ბ2; გ17; ე5)	ვადაგასული / ნარჩენი ქიმიკატები უნდა იმართებოდეს კანონმდებლობის მიხედვით, თუ ისინი შეესაბამება "სახიფათო ნარჩენების განმსაზღვრელ მახასიათებლებს" (ე5)	იხელმძღვანელებთ ნარჩენების მართვის კოდექსით	სავალდებულო		





# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>E12</b>	ინვოისები და ქვითრები უნდა ინახებოდეს შექმნილი ქიმიკატებისთვის და პროდუქტისთვის (გ1)	ქვითრები, სადაც დატანილი იქნება მდს-ს სახელი, აქტიური ინგრედიენტი და სასუქის დასახელება, თუ ინვოისების მიღება შეუძლებელია, შესაძლოა შენახული იყოს ქვითარი გამყიდველის ხელმოწერით.	ქვითრები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>E13</b>	ზედმეტი ქიმიკატებისა და შესარევი ავზის / ქიმიკატის კონტეინერების გამონარეცხის გადაღვრა უნდა განხორციელდეს სწორად	ავზში/საწამლავ აპარატში ნარჩენი ქიმიკატები უნდა განზავდეს სუფთა წყალში, ისე რომ არ დააბინძუროს წყლის წყარო და გარემო (ბ2; გ17)	სასურველია, განზავებულის გადაღვრა ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას	რეკომენდაცია			
<b>E14</b>	მდს-ს გამოყენების შემდეგ ნაკვეთში / სათბურში შესვლის ინტერვალები უნდა იყოს დაცული. იდენტიფიცირებული უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი (ბ3; ა7)	ხელახლა შესვლის ინტერვალები უნდა განისაზღვროს ქიმიკატების ეტიკეტის მიხედვით, ან ფოთლების სრულ გაშრობამდე მაინც (მინიმუმ 12 საათი)	უნდა არსებობდეს შესაბამისი ინსტრუქციები, რომლებიც გაეცნობა დაქირავებულებს	სასურველი			
<b>E15</b>	ორგანული სასუქი უნდა ინახებოდეს რისკების შეფასების გათვალისწინებით (დ7)	ორგანული სასუქის განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარმო პირობები	უნდა შეფასდეს გარემოს დაბინძურების რისკები (დ7; ე5)	სასურველი			
<b>E16</b>	ქიმიკატების სათავსო უნდა ქონდეს ნიშანი „ქიმიკატების სათავსო“ (გ12; გ13)	ქიმიკატების სათავსოზე წვდომა უნდა ქონდეთ მხოლოდ ავტორიზებულ პირებს	სათავსო უნდა იკეტებოდეს ისე, რომ მისი გაღება შეუძლებელი იყოს გასაღების / კოდის გარაშე	სავალდებულო			
<b>E17</b>	სასურველია, სასუქები ინახებოდეს მდს-სგან განცალკევებით (გ12)	საწყობი უნდა იყოს სუფთა, დაცული და მშრალი	სასუქის ტომრები არ უნდა ეწყოს პირდაპირ იატაკზე	სასურველი			
<b>E18</b>	სასუქები უნდა ინახებოდეს ისე, რომ წყლის დაბინძურების რისკი იყოს მინიმალური (გ12; დ9)	სათავსო უნდა იყოს წყლის წყაროებისგან მოშორებით (დ5)	სათავსო უნდა გააჩნდეს შესაბამისი დრენაჟი ან ბარიერი, რომელიც აღკვეთავს მის გარეთ გასვლას	სავალდებულო			
<b>E19</b>	რეკომენდირებულია, რომ თხევადი სასუქები შემოსაზღვრული იყოს წყალგაუმტარი ბარიერით	გაჟონვის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია, გამოყენებული იყოს წყალგაუმტარი ტარა (ბ2; დ5)	ზოგიერთ სასუქს გააჩნია ჰაერიდან ტენის აღების თვისება ან აორთქლება, ამიტომ ტარა ყოველთვის უნდა იყოს დახურული.	რეკომენდაცია			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>E20</b>	სასუქებისათვის გამოსაყენებელი ხელსაწყოები / საირიგაციო სისტემა უნდა იყოს გამართული	საფერტიგაციო სისტემა უნდა იმართებოდეს სწორად, დატრენინგებული პერსონალის მიერ (გ11)	სასურველია, აღირიცხებოდეს გამოყენებული წყლის რაოდენობა	სასურველი			
<b>E21</b>	გეოგაპის პროდუქციის წარმოებისათვის კატეგორიულად აკრძალულია საკანალიზაციო სისტემასთან კავშირში მყოფი წყლის გამოყენება	არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული დამუშავებული ან დაუმუშავებელი საკანალიზაციო წყალი (დ4; დ5; დ6)	ფერმის სიახლოვეს იდენტიფიცირებული უნდა იყოს წყლის დაბინძურების შესაბამისი წყაროები	სავალდებულო			

სერტიფიცირებული პროდუქციის მიკვლევა							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>F1</b>	გეოგაპის პროდუქციისათვის უნდა არსებობდეს მიკვლევადობისა და პროდუქციის გამოთხოვნის სისტემა (ბ7)	ნებისმიერი გაყიდული პროდუქტი უნდა იყოს მიკვლევადი, უნდა არსებობდეს პროდუქციის გამოთხოვის წერილობითი პროცედურები (ბ6; ბ7)	ფერმერმა უნდა შეინახოს ჩანაწერები, გაყიდული პროდუქციის შესახებ მყიდველის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად (ა8)	სავალდებულო			
<b>F2</b>	ყუთებზე / შეფუთვებზე რომლებშიც განთავსებული იქნება გეოგაპის პროდუქცია, მიკვლევადობისთვის უნდა იყოს ეტიკეტირებული ყველა აუცილებელი ინფორმაციით (ბ9)	პირდაპირი კლიენტებისთვის უნდა არსებობდეს გეოგაპის ნომრის გამოყენების ინსტრუქცია (ა8; ბ10)	დაცული უნდა იყოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი	სავალდებულო			
<b>F3</b>	გეოგაპის პროდუქცია დაცული უნდა იყოს გაყალბებისგან (ბ10; ე9)	უნდა აღირიცხებოდეს ინფორმაცია გაყიდვების შესახებ	პროდუქციის დასაცავად უნდა არსებობდეს რისკების შეფასება და პროცედურები ინდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად (ბ6-10)	სავალდებულო			
<b>F4</b>	უნდა არსებობდეს განმასხვავებელი პროცედურა სერტიფიცირებულ და	ამის გაკეთება შესაძლებელია უშუალოდ პროდუქტის ფიზიკურად შემოწმებით და რელევანტური ჩანაწერების საფუძველზე	შესაძლოა, ამ მიზნით სხვადასხვა სახის ./ ფერის ტარის გამოყენება,	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



	არასერტიფიცირებულ პროდუქტს შორის (ბ8)		საწყობის სექტორებად დაყოფა, ა.შ.				
<b>F5</b>	უნდა არსებობდეს გეოგაპის პროდუქციის გამოთხოვნის წერილობითი პროცედურები (ბ6; ბ7)	ნებისმიერ დროს უნდა არსებობდეს გაყიდული პროდუქციის გამოთხოვნის საშუალება	გამობრუნებული პროდუქცია ბაზარზე გასაყიდად აღარ ბრუნდება	<b>სავალდებულო</b>			
<b>F6</b>	გეოგაპის პროდუქციისათვის დასაშვებია პარალელური წარმოება და/ან პარალელური მფლობელობა	პარალელური წარმოებისა და პარალელური მფლობელობისათვის დოკუმენტაცია უნდა იყოს შევსებული (ბ8)	პარალელური წარმოება და/ან პარალელური მფლობელობა აკრძალულია, თუ არ არსებობს შესაბამისი პროცედურები	<b>სავალდებულო</b>			

ჩანაწერების წარმოება							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>G1</b>	ფერმერი უნდა აწარმოებდეს ჩანაწერებს სარეველებთან სამუშაოებისთვის (გ3)	ფერმერმა უნდა დაასაბუთოს ჰერბიციდების გამოყენების აუცილებლობა	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	<b>სავალდებულო</b>			
<b>G2</b>	ფერმერი უნდა აწარმოებდეს ჩანაწერებს მცენარეთა დაცვის ყველა საშუალების გამოყენების შესახებ (გ1; გ2; გ4; გ6)	ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ცნობებს ოპერატორისა და გამოყენებული ხელსაწყო(ებ)ის შესახებ	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	<b>სავალდებულო</b>			
<b>G3</b>	უნდა არსებობდეს მდს-ს გამოყენების წერილობითი დასაბუთება (გ2; გ6)	ჩამოწერილი უნდა იყოს დაავადებების / მავნებლებისა და ქიმიკატების დასახელებები	ჩანაწერები ქიმიკატების გამოყენების შესახებ უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	<b>სავალდებულო</b>			
<b>G4</b>	პესტიციდების ლოდინის პერიოდები უნდა იყოს დაცული და ჩანაწერები ქიმიკატების გამოყენების შესახებ უნდა შეიცავდეს ამ ინფორმაციას (გ2; გ4 დ7)	ფერმერმა უნდა იხელმძღვანელოს პესტიციდების ეტიკეტების და/ან ქიმიკატის უსაფრთხოების ინსტრუქციების მიხედვით	ჩანაწერები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ლოდინის პერიოდების დაცვის შესახებ	<b>სავალდებულო</b>			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>G5</b>	ხარისხის კონტროლის სისტემა საჩითილე მასალის გამოყვანისას (დედა მცენარის იდენტიფიცირება) (გ8; გ9)	გამოყენებული მასალის დასაბუთება (დედა მცენარის წარმოშობა, დაავადებებისა და მავნებლების პირობები დედა მცენარის მიმართ)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G6</b>	უნდა იწარმოებოდეს ჩანაწერები დათესვის / დარგვის სიხშირიზე, ვადებზე, ა.შ. (გ4; გ10)	უნდა ინახებოდეს სათესლე მასალის პაკეტები / შეფუთვა	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G7</b>	ჩანაწერის წარმოება ქიმიური ნარჩენების ანალიზის შესახებ (გ7)	წარმოდგენილი უნდა იყოს ანალიზის შედეგები	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G8</b>	სასურველია, წარმოდგენილი იყოს მავნებლების წინააღმდეგ კონტროლის, ინსპექტირებისა და ქმედებების ჩანაწერები (გ4)	გამოვლენილი უნდა იყოს ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირი (ა7)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სასურველი			
<b>G9</b>	უნდა იწარმოებოდეს ჩანაწერები გამოყენებული სასუქების შესახებ (გ5)	დასახელება, საკვები ელემენტების შემცველობა, გამოყენების თარიღი, რაოდენობა, კონცენტრაცია, ა.შ.	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G10</b>	ჩანაწერების წარმოება შინაურ პირობებში დამზადებული ნივთიერებების შესახებ (სასუქი / მცენარეთა დაცვის საშუალებები) მაგ. კომპოსტი (გ6)	დასაბუთება, თარიღი, რაოდენობა, წარმოშობა და ა.შ	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G11</b>	ჩანაწერების წარმოება მორწყვაზე / გამოყენებული წყლის რაოდენობაზე (გ11)	თარიღი, რაოდენობა, წყლის წარმომავლობა (სასურველია ხსნარის რეაქცია და მინერალიზაცია), ა.შ.	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G12</b>	თესლბრუნვა ერთწლიანი მცენარეებასთვის (გ10)	სასურველია ახალი მიწის ნაკვეთებისთვისაც	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>G13</b>	სასუქების სათავსო პერიოდულად უნდა აღიწეროს და მაში არ უნდა ინახებოდეს ვადაგასული ქიმიკატები (გ12)	სასურველია, აღწერა განხორციელდეს ყოველთვიურად (ეს ეხება როგორც პესტიციდების, ასევე სასუქების სათავსოებს)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სასურველი			
<b>G14</b>	უნდა აღიწერებოდეს მოსავლის აღების თარიღები (გ14; ე9)	მოცემული უნდა იყოს მოსავლის აღების თარიღები და რაოდენობები	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>G15</b>	სასურველია არსებობდეს სარეველების მართვის გეგმა და ჩანაწერები (გ3)	დასაბუთებული უნდა იყოს ქიმიური საშუალებების (ჰერბიციდების) გამოყენება	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სასურველი			
------------	--	---	--	-----------	--	--	--

ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>H1</b>	ფერმაში სასაწყობე და შესაფუთო ოთახებში აუცილებელია კარგად დაცული ჰიგიენის ნორმები (ე9; გ15; ე6)	მოწესრიგებული უნდა იყოს საჭირო ოთახი, ხელების დაბანისა და გამშრალეების საშუალება	უნდა არსებობდეს სპეციალური ნიშნები (ხელების დაბანის ინსტრუქცია, ა.შ.)	სავალდებულო			
<b>H2</b>	ჰიგიენასთან დაკავშირებული ყოველწლიური ტრენინგი (გ18)	ფერმაში მომუშავეთათვის ტრენინგი უნდა მოიცავდეს ძირითად ინფორმაციას სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენის საკითხებზე	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>H3</b>	მოსავლის აღებისა და აღების შემდგომი ჰიგიენური პროცედურები (ე6; ე9)	ფერმაში უნდა არსებობდეს წერილობითი დოკუმენტაცია, დატრენინგებული პერსონალი და ჰიგიენის ნიშნები	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>H4</b>	ფერმაში უნდა ხორციელდებოდეს ჰიგიენური პროცედურები	უნდა არსებობდეს ჩანაწერები და არსებობდეს პასუხისმგებელი პირი (გ15; გ16; ა7)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში	სავალდებულო			
<b>H5</b>	სასურველია, წარმოდგენილი იყოს დასუფთავების ჩანაწერები (გ15; გ16; გ17)	უნდა არსებობდეს ჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირი (ა7)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში	სასურველი			
<b>H6</b>	ფერმაში ყოველთვის უნდა იყოს ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი დახმარების ტრენინგი ან მიღებული აქვს სამედიცინო განათლება / გამოცდილება (დ2; დ3)	უნდა არსებობდეს კვალიფიციური პასუხისმგებელი პირი, რომელიც თანამშრომლებს გააცნობს პირველადი დახმარების საბაზისო წესებს (ა7)	ყველა ახალმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს გადამზადება. უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი დატრენინგებული პირი მაინც.	სასურველი			
<b>H7</b>	რეკომენდირებულია, არსებობდეს საგანგებო შემთხვევების დროს მოქმედების გეგმა (ე7)	სახიფათო შემთხვევების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო რისკს როგორცაა: ხანძარი, სეტყვა, უბედური შემთხვევა, ა.შ.	რეკომენდირებულია, გამოვლენილი იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი (ა7)	სასურველი			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



<b>H8</b>	პირველადი დახმარების ყუთი განთავსებული უნდა იყოს ნაკვეთთან და შესანახ / შესაფუთ ოთახებში (ზ6, დ5)	პირველადი დახმარების ყუთში უნდა იყოს: ბამბა, სპირტი, ბინტი, პლასტერი, სუფთა წყალი, ანტიალერგიული წამლები და ა.შ. ყუთს უნდა ქონდეს შესაბამისი ნიშანი	ადგილი დატანილი უნდა იყოს ფერმის რუკაზე / გეგმაზე და (ან)	სავალდებულო			
-----------	---	---	---	-------------	--	--	--

რისკების შეფასება და მმართველის პასუხისმგებლობა							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
<b>I1</b>	ფერმაში უნდა ხორციელდებოდეს პროდუქტის დაბინძურების რისკების შეფასება და შემცირების ზომები (დნ)	უნდა განხორციელდეს რისკების შეფასება და განისაზღვროს მათი შემცირების ქმედებები პროდუქტის როგორც ფიზიკური, ასევე ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაბინძურებისათვის	შეფასება უნდა განახლდეს ყოველწლიურად	სავალდებულო			
<b>I2</b>	წელიწადში ერთხელ მაინც უნდა განხორციელდეს თვითშეფასება და მაკორექტირებელი ქმედებები (დ1)	უნდა ჩატარდეს შიდა აუდიტი და შეფასდეს არსებული მდგომარეობა გეოგაპის მოთხოვნებთან მიმართებაში	გარე აუდიტის მოწვევამდე აუცილებელია ჩატარდეს შიდა აუდიტი	სავალდებულო			
<b>I3</b>	ფერმაში უნდა შეფასდეს ჯანმრთელობისა და უსასფრთხოების რისკები (დ2)	ასევე იდენტიფიცირებული უნდა იყოს და შეფასდეს სახიფათო ადგილები (ე7)	შეფასება უნდა განახლდეს ყოველწლიურად და ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>I4</b>	სასურველია, წერილობით ფორმაში არსებობდეს ფერმის ტერიტორიაზე ქცევისა და სტუმრობის წესები (დ3)	განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები (გასასვლელი, გადაუდებელი დახმარება, ცეცხლმაქრი, სახიფათო ადგილები, ა.შ.)	სასურველია, წესები იყოს დაქირავებულებისათვის გასაგებ ენაზე	სასურველი			
<b>I5</b>	გეოგაპის პროდუქციისათვის შესანახ / გასაყიდ ყუთებისა და ტარებისთვის უნდა არსებობდეს ეტიკეტირების ინსტრუქცია (ბ9)	დოკუმენტაცია უნდა იმართებოდეს პასუხისმგებელი პირის მიერ (ა7)	ჩანაწერები უნდა ინახებოდეს 2 წლის განმავლობაში მაინც	სავალდებულო			
<b>I6</b>	სასურველია, ფერმაში არსებობდეს რისკების შეფასება ორგანული სასუქებისთვის (დ7)	რისკების ანალიზი უნდა მოიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ისევე როგორც გავლენას დაქირავებულებსა და საბოლოო პროდუქტისაზე (დ5; დ6; ე7)	სასურველია, არსებობდეს კომპოსტირების ორმო, სადაც შეინახებ და გადამუშავდება ორგანული სასუქი	სასურველი			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



I7	რისკების ანალიზი უნდა განხორციელდეს ყველა ახალი ნაკვეთისთვის (დ4)	განსაზღვრული უნდა იყოს მიწის გამოყენების ისტორია, წინა კულტურები და შესაძლო დაბინძურება.	მხედველობაში უნდა იყოს მიღებული გარემოს პირობების გავლენა სურსათსა და დაქირავებულების მუშაობის პირობებზე	სავალდებულო			
I8	ფერმაში უნდა შეფასდეს რისკები წყლის მართვისათვის (დ8)	ფერმაში სასმელი და სარწყავი წყლის ხარისხი უნდა შეფასდეს გარემოს მდგომარეობისა და ადამიანების მოქმედებებიდან გამომდინარე	თუ საჭიროა, წყალი უნდა შემოწმდეს მიკრობიოლოგიურ და ფიზიკურ დაბინძურებაზე.	სავალდებულო			
I9	რისკების შეფასება სარწყავი / საფერტიგაციო წყლის დაბინძურებისათვის (დ9; დ10)	უნდა არსებობდეს რისკების წერილობითი შეფასება წყლის მიკრობიოლოგიური ხარისხის შესახებ.	თუ ფერმაში ხელმეორედ გამოიყენება წყალი, ის უნდა გაიფილტროს და განისაზღვროს მისი pH, საერთო მინერალიზაცია და სხვა პარამეტრები	სავალდებულო			
I10	უნდა შეფასდეს რისკები, რამდენად შეძლებს მწარმოებელი დაიცვას ქვეყანაში მოქმედი ქიმიკატების ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები დონეები (დ8)	რისკების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ქიმიკატების ნარჩენების ანალიზებს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	საკანონმდებლო მაცნე: სურსათში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	სავალდებულო			
I11	სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შეფასება (დ3; დ5)	უნდა შეფასდეს ფერმის თანამშრომელთათვის შესაძლო საფრთხის გამომწვევი ადგილები	საშიშროების იდენტიფიცირებისა ან / და თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია სპეციალური მოწყობილობის გამოყენება	სავალდებულო			
I12	სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის რისკის შეფასება (მოსავლის აღება, ტრანსპორტირება ფერმაზე, მოსავლის აღების შემდგომი პერიოდი) (დ5; დ6; ე9)	უნდა არსებობდეს რისკის ანალიზის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა მოიცავდეს მოსავლის აღებისა და მის შემდგომ პროცედურებს. დაბინძურებისგან თავის არიდების მიზნით მიღებული უნდა იყოს შესაბამისი ზომები.	გამოვლენილი უნდა იყოს ყველა შესაძლო საკონტროლო მექანიზმი, რომელიც სურსათის უვნებლობის მხრივ იქნება გამოსადეგი	სავალდებულო			



# გეოგაპის მოთხოვნების სია ფერმერებისთვის



ლაბორატორიული ანალიზები							
N	მოთხოვნა	აღწერა	დამატებითი ინფორმაცია	სტატუსი	კი	არა	დასაბუთება
J1	გამომდინარე რისკების ანალიზიდან, აუცილებლობის შემთხვევაში, გეოგაპის პროდუქტისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს პესტიციდების ნარჩენების ანალიზები (გ7; დ8)	ნიმუშები საანალიზოდ უნდა შეგროვდეს და გაიგზავნოს ლაბორატორიაში მოსავლის აღების დაწყებისთანავე, თუ არის რისკი, აცულებულია პროდუქცია შემოწმდეს ნიტრატების შემცველობაზეც	სავალდებულოა, ანალიზები ჩატარდეს ISO 17025 აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში	სავალდებულო			
J2	გამომდინარე რისკების ანალიზიდან, აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს გეოგაპის პროდუქციის წარმოებისას გამოყენებული წყლის ანალიზები (დ6; დ8)	მიკრობიოლოგიური დაბინძურება, ხსნარის რეაქცია pH, საერთო მინერალიზაცია (EC). სხვა სახის დაბინძურების რისკის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა შესაბამისი ანალიზები.	სავალდებულოა, ანალიზები ჩატარდეს ISO 17025 აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში	სავალდებულო			
J3	გეოგაპის სტანდარტის დანერგვისას პირველივე წელს წარმოდგენილი უნდა იყოს ნიადაგის ანალიზები (ე1; ე2)	მექანიკური შედგენილობა, ორგანული ნივთიერებები, აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, გაცვლითი კათიონები, რეაქცია pH, კარბონატები, მინერალიზაცია. დაბინძურების რისკის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა შესაბამისი ანალიზები (მაგ. მძიმე მეტალებზე).	რეკომენდაცია უნდა ეფუძნებოდეს ანალიზებს და შემუშავებული იყოს კომპეტენტური ადამიანის მიერ	სავალდებულო			
J4	წყალი და ყინული, რომელიც გამოიყენება გეოგაპის პროდუქციის გასარეცხად / გასაციებლად უნდა იყოს სასმელი წყლის ხარისხის კუთხით (დ10)	წყალი უნდა იყოს შესაბამისი ხარისხის, რაც დადასტურებული იქნება ლაბორატორიის მიერ, უნდა ჩატარდეს ანალიზები და წარმოდგენილი იყოს მოთხოვნისას (დ5; დ6)	ლაბორატორიული ანალიზები უნდა ჩატარდეს რისკებიდან გამომდინარე	სავალდებულო			
J5	თუ წყლის ანალიზებიდან გამომდინარე ეს აუცილებელია, მწარმოებლებმა უნდა აღკვეთონ წყლის დაბინძურება და/ან გაფილტრონ გამოსაყენებელი წყალი (დ9; დ10)	წყლის გაფილტვრა უნდა მოხდეს შესაბამისი მოწყობილობების გამოყენებით და პროცესი კონტროლდებოდეს კომპეტენტური ადამიანის მიერ. გასაფილტრი / გასასუფთავებელი სისტემა უნდა იყოს მუდმივად გამართული.	თუ ეს აუცილებელია, რეგულარულად უნდა ჩატარდეს გაფილტრული და განზავებული წყლის ანალიზები	სავალდებულო			